



სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 82

დამატების № 15

კვირა, 7 სექტემბერი 1914 წ.



ტყვის მფრეხველის აბანა გორაკი.

მოჯალაბე

ისტორიული მოთხრობა.


(იხ. სურათებიანი დამატება № 14)

— იცი რა ვნახე!—დაიწყო უტუმ, როცა ცეცხლი გააჩალა და დავეითი შეიპატიუა.—ვითომ შუა ზღვაში მივეცურავ, უცებ ამოვარდა ქარიშხალი და ზღვაც შეინძრა, ცოტა კიდე და ტალღების მთებმა იწყეს გორაობა... აბობოქრდა, აყვირდა ზღვა,—საზარელი იყო მისი შეხედვა. მე ვიღობოდი და არც ვიღობოდი! ტალღა გადმისვრიდა ტალღაში, ისე კიდე სხვა ტალღას მიმცემდა და ისიც შორს გადამაგდებდა; იქაც სხვა ტალღა გამიტაცებდა, გამკრავდა ისევე შუა ზღვაში შემაფრიალებდა... უცებ ქვემოდან გამოჩნდა უშველებელი ვეშაპი, პირი საზარლად დაეღრინა და მოდიოდა ჩემი გადასაყლაპავად, მას უკან მოსდევდა თავის აუარებელი წიწილები, მარა რამდენჯერაც ჩემკენ წამოიწევა და ჰა, ესეც არის, უნდა ჩამისუნთქოსო, იმდენჯერმე ტალღის მთა დაეძგერებოდა და ჩემგან შორს გადააგდებდა. მე ვკანკალებდი, ვძიგძიგობდი, შიშის ზარი გულს მიხეთქდა—ვიღუბებოდი: ან უნდა გადავეყლაპე ვეშაპს, ან უნდა დამრჩვალვიყავი. ეს დრო რო იყო ისე, გავიხედე და დავინახე, რომ ზემოდან ტალღებს მოაპობდა უშველებელი გემი. ახლა კი რაღაც იმედმა გაიღვიძა ჩემ გულში:—„თუ ღმერთს ჩემი შველა უნდა, ამ გემმა უნდა მიშველოს მეთქი“,—გავიფიქრე გულში და მეც მისკენ დავიწეე ცურვა... ეს დრო იყო, როცა ტალღების ყეფამ წამომავლო... იცი, კიდე მეშინოდა სიზმრის, სანამ ჩემი თავი სირცხვილში არ ჩავაგდე! გამოველ და შენ შეგეყარე... დიდი მადლობელი ვარ შენი, რომ დაღობას გადამარჩინე.—თავისებური ოხუნჯობით დაუმატა უტუმ და სიცილით ამოუჯდა მეგობარს.

— დაილოცა, ღმერთო, შენი სახელი!—რამდენჯერმე წამოიძახა დავითმა გაოცებით და რამდენჯერაც წამოიძახა, იმდენჯერმე პირველი გამოისახა.

— რა იყო? შენ რა მოგივიდა?—გაოცებითვე შეეკითხა უტუმ.
 — მაგრამ, მართალ სულს ღმერთი წინ და წინვე აჩვენებს ყველაფერს, რაც უნდა მოხდეს!—ისევე თავის-თავს უპასუხა დავითმა.
 — რაზე ამბობ დავით?
 — იმაზე, რომ შენი სიზმარი ისე ცხადია, როგორც ცხადია ის, რომ ჩვენ ეხლა ერთმანეთს ვხედავთ.
 — რას მეუბნები კაცო?! ხო არ გადირიე! ეხლა მადლობა გითხარი, დაღობას გადამარჩინე მეთქი და ეხლა ისევე ზღვაში გინდა გადმისროლო?—ისევე ოხუნჯობით უთხრა უტუმ.
 — გეუბნები, რომ შენი სიზმარი მართალია მეთქი, მაგრამ მოხდება ოდიშში და არა ზღვაში... ალელვებულ—აბობოქრებული ზღვა არის ჩვენი ხალხი, ის მალე ალელდება ზღვასავით; პირდაღებული ვეშაპი და მისი წიწილები არის დედოფალი და თავად-აზნაურობა... გემი!.. ეს არ ვიცი...
 — მითხარი, საიდან იცი ეს?
 — იქიდან, რომ ჩემი მოსვლის მიზეზიც სწორედ ეს არის...
 — შენს ღმერთს მიამადლე, გამაგებინე რა ამბავია?..
 — საქმე ისაა, რომ სალხინოში მუშები აუჯანყდა სახუცეცს. შესწყვიტეს მუშაობა, მიბეყეს სასახლის ბიჭები, ივანე ჩიქვანსაც კიკი მოხვდებოდა, რო არ გაქცეულიყო, დასძახეს კირიალისანი და ახლა მთის წვერზე გაისმის მათი გუგუნი...
 — შენ რა გითხრა მე!—გააწყვეტინა უტუმ ლაპარაკი.—ამოდენა გზა იმისთვის გამოვიარე, რომ ჩემი მოსატყუებლად მოსულიყავი?!
 — ტყვილის ლაპარაკის დრო არაა ეხლა... ჩაიცივი, დროს ნუ ვკარგავთ... მეთაური ვერავინ ვიშოვეთ და შენკენ მიზა გამევიქეცი, ხვალ სალამოდე მიგველიან,—სთქვა დავითმა ისე მტკიცედ, რომ უტუმს ყოველგვარი ეჭვი გაუქარდა.
 — შენი ჭირიმე-შენი!.. მართლაც კაის მახარობელი ყოფილხარ... ჩემი სიზმარიც ამაზე ამხდარიყოს!—წამოიძახა უტუმ და სთხოვა დავითს ყოველივე დაწვრილებით ეამბა.

10749



ფრანგების ზედრენდნოუტი წინ უძღვის ხმელთა შუა ზღვის ესკადრას.

დავითმა აუწერა უტუს ყველა ის, რაც მოხდა სალხინოში და დაუსურათა ისიც, თუ რანაირად ფიქრობდა ამ დიადი საქმის გარძელებას.

— შენს შუბლს ვენაცვალე, შენი ვაჟ-კაცობის ჭირი შამეყაროს! — ისევ ალტაცებით წამოიძახა უტუმ და გადაეხვია გულითად მეგობარს; — ახლა იცი რა ქენი! — გრძნობით დაუმატა მან კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ, — და-ლაღული იქნები, მიწეკი და თვალი მოატყუე, მანამ მეც მოვალ.

— ეს კაი, მივწვები, მარა შენ სად ეი-ღიხარ?

— რა ეპვიანად მეკითხები, კაცო! არ გრცხვენია! ხომ იცი, რომ დღეის იქით ესაა და ეს ჩემი საქმე! ღმერთმა ამ დღეს შემას-წრო და სხვა რამე უნდა გავაკეთო?!.. სად მივდივარ და ბიჭებს და უძახებ, ვეტყვი, რომ ეს ამბავი მოდვან მთასა და ბარს; აცნობონ ყველას, ვისაც ამის გაგება შეუძლიან, რომ პირველი დაძახებისათნავე ფეხზე წამოდგეს ყველა, — სთქვა ეს და გაშორდა უტუ დავითს.

როცა ჯვარში ელვასავით გადადიოდა ერთიდან მეორეზე სალხინოს ამბავი და მით ალტაცებას ეძლეოდა ხალხი, ჩვენი მგზავრებიც გამალეებით მიეჩქარებოდნენ სალხინოში და სწორედ დაპირებულ დროზე ადრეც მიაღწენ იმ გორაკს, რომლის წვერიდან მოისმობდა აჯანყებული ხალხის გრიალი. — რამდენიმე ათეული ბუკთა შაერთებული გრგვინვა ღვთის რისხევისავით ეცემოდა მალლიდან ქვეშ, მჭექარე ხმით ეშვებოდა თვალჩაუწყდენელ ხრამში, ეკვეთებოდა გარშემო ამართულ უზარმაზარ კლდეებს და, თითქო მეორე მხრითაც მებუკეები ჩაუსაფრებიათო, იქიდანაც მოისმოდა გამობრუნებული გუგუნი და გრუხუნი, რამაც გული აუტოკა ჩვენს მგზავრებს.

— სარდალი მობრძანდება, სიჩუმე იყოს! — დაუყვირა ხალხს მართალიამ, როცა დაინახა მათკენ მიმავალი ნაცნობი პირები.

ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე და სტუმრებიც მიუახლოვდნენ ხალხს.

— გამარჯობა თქვენი! — მეტად საამური ხმით დაიძახა უტუმ და ვარსკვლავივით გაბრწყინებული თვალები მიანათა რამდენიმე ათასეულ ბრბოს.

— ღმერთმა გამარჯობა ნუ მოგაკლოს! — ერთხმად მოისმა ხალხში პასუხი.

— ვიჩქებ და თაყვანს ვცემ თქვენს სახეს, ხატივით ვეამბორები იმ ხალხის შუბლს, რომელმაც და ბოლოს მაინც იგრძნო, რომ ის ადამიანია და არა პირუტყვი; რომელიც გვიან მაინც მოვიდა გონს, დაგლიჯა მონობის ჯაჭვი და თავზე ღირსეული გვირგვინი დაიდგა, — სთქვა თუ არა უტუმ, დაეშვა ორთავ მუხლებზე და დაეწაფა, დედამიწას.

ხალხიც დაეშვა მუხლზე.



ი ვ ი თ ძ ა !..

— არა, თქვენ არა, — საჩქაროდ დაიძახა უტუმ. — ვდგები და ადექით თქვენც. თქვენ არ შეგშვენით დაჩოქება! თავისუფალი ხალხი მხოლოდ და მხოლოდ ღვთის წინაშე იჩოქებს!.. და თქვენც თავისუფალი ხარტ დღეიდან. გატეხილია ის უღელი, რომელიც გვიშავებდა და გვისიებდა კისერს; გაწყვეტილია ის ჯაჭვი, რომლითაც ვიყავით შებორკილი; გაახლებულია დღეს ჩვენში ის ადამიანური სული, რომელიც ღმერთმა ერთნაირი მისცა ბატონს და ყმას, მაგრამ ბატონმა ამოხადა ყმას... ეყოფა ბატონს რაც ინადირა ჩვენზე... ახლა ჩვენ ჩვენთვის ვიყოთ, ის თავისთვის... ხომ გინდათ ასე? ხომ თანახმა ხართ ყველა?

— თანახმა ვართ — თანახმა, არ გვინდა ბატონი, უსამართლო ბატონი, — იგრილა ათასმა ხმამ.

— არ გვინდა და არც უნდა გვინდოდეს, — განავრძო უტუმ, — იცოდეთ, რომ თუ ჩვენ არ ვეყმეთ, ისინი ვერ გვებატონებიან. ბატონები გვეუბნებიან, რომ ბატონ-ყმობა ღმერთმა გააჩინაო; ტყუილია ეს ძმებო; ღმერთს არ ნებავეს, რომ ერთი ბატონი იყოს და მეორე ყმა; ერთი მადლარი, მეორე მშიერი; ერთი დიდებული, მეორე გინებული; არ ნებავეს ეს ღმერთს, არ დაიჯეროთ ეს. ღმერთმა ერთი მამაკაცი და ერთი დედაკაცი გააჩინა პირველად, იმათი შვილები ვართ ყველა: დედოფალიც, თავადიც, აზნაურიც და ყმაც... ბატონებს დაეკარგათ ღვთის შიში, იმათ ყმები ღვთის გაჩენილად არ მიაჩნიათ; ისინი გვეუბნებიან, რომ ვითომც ვილაცა თავადი მომკვდარიყოს, დაუშარხავათ დარჩენილიყოს, დასეოდეს მატლები და იმ მატლებისგან გაჩენილიყოს ყმები!.. მართალია ეს, ძმებო, მართალი?

— ტყუილია, ტყუილი; გვატყუებენ ბატონები! — იგრილა ხალხმა.

— ტყუილია, ძმებო, ტყუილი, — ისევ განავრძო უტუმ. — ეს თუ ტყუილი არ არის, აბა რომელია ის სხეული, რომელიც ბატონს აქვს



მუხანის კაზაკები.

და ყმას არა, ან ყმას აკლია და ბატონს არა! ბატონსაც ისეთი სული უდგია, როგორც ყმას და ყმასაც ისეთი, როგორც ბატონს; ბატონიც ისე სუნთქავს, როგორც ყმა და ყმაც ისე, როგორც ბატონი; ბატონსაც ისეთი სისხლი უდგას, როგორც ყმას და ყმასაც ისეთი, როგორც ბატონს... მაგრამ ერთი, თუ ბატონია და მეორე ყმა, ეს კი ჩვენივე ბრალია: ვეყმეთ და ისინიც გაგვიბატონდნენ... ახლა კი არ ვეყმით და ისინიც ჩამოგვმორდებიან... თავსხვილა და საზარელი ბუ თურმე ფრინველების მეფედ ითვლებოდა ძველად. სიკვდილივით ეშინოდათ, თურმე მისი პატარა ფრინველებს, ის რომ თვალებს დააბდღვრიანებდა, თავზარი ეცემოდათ საბრალოებს. ერთხელ ჩხიკვს უბრძანა თურმე ბუმ: — „თავი გამიხილე, რალაცა მკბენსო“. — ჩხიკვმა მორიდებით შეასრულა ბრძანება, მაგრამ შეამჩნია, რომ ბუს თავი რბილი ჰქონდა და მოახსენა: — „ბატონო, თავი რბილი გქონიაო“. — „გულიც ისეთი რბილი მაქსო“, — უპასუხა ბუმ. — „თუ ასეა, არც უნდა მეშინოდეს შენიაო“, — უთხრა ჩხიკვმა, გაშალა ფრთები და ჩაჰკრა ნისკარტი. შიშით გულგახეთქილი ბუ გაიქცა, სადღაც შიშმა და მას შემდეგ დღისით ვერ ჩნდება ჩხიკვების შიშით... ჩვენი საქმეც ესეა: ჩვენ იმიზა გვეშინიან ბატონების, რომ ჩვენი თავის ემედ არ გვაქ და ბატონი თორმეტთავიან დევთ მიგვანია! გავშალოთ ფრთები, ჩავკრათ ნისკარტი ბატონებს და მაშინ ვნახავთ, რომ ბუსავით გულ-გახეთქილი ბატონები სოროებში იშალებოდნენ!.. ასეა ძმებო — ასე; დაშალ ჯირკვს ჰვავს ის კაცი, რომელიც ფიქრობს, რომ მას გული არა აქ, სისხლი არ უდგას და უძლეველია ის კაცი, რომელიც თავის ძალა და შეძლებას განზრახ არ მალავს, თავისი თავის ფასი იცის! გადახედეთ აბა ამ ძალას: ერთ ბატონს ხშირად ასი და ორასი ყმა ჰყავს! ორასი ყმა რომ შეინძრეს, ერთმა ბატონმა მიწა უნდა გაითხაროს მაგრამ შიში გვეჭირს, შიში გვეკლავს გულს და თუ ეხლაც გვეშინიან, უმჯობესია ეხლავე ვეახლოთ ბატონებს და მორჩილება გამოუცხადოთ...

— ის დღე დაიქცეს!.. დედა შეერთოს ცოლად, ვისაც ბატონების ეშინიან — აღმძვრელი ხმით წამოიძახა დავითმა და ფართე თვალებით გადახედა ხალხს.

— ა-ა-ამენი. დედა შეერთოს ცოლად, ვისაც ბატონების შეეშინდეს, — მოისმა ხალხშიაც გუგუნნი.

— ძან კაი! თუ ასეა, უნდა დავიფიცოთ, რომ ერთმანეთს არ უღალატოთ, — დასძინა უტუმ.

ჩამოვარდა სიჩუმე. ხალხი, თითქო ერთბაშად გაიყინაო, სულ-განაბული შესცქეროდა იმ წრეს, სადაც რალაც ფაცა-ფუცი ხდებოდა... ამ წრეს შეადგენდა სამღვდლოება. ისინი იყვნენ რამდენიმე და თითოეულ მათგანს გულზე ხატი ჰქონდა მისვენებული. ახლა ჯერი მათზე მიმდგარიყო და უტუმაც დასცალა ის მაღალი ადგილი,

საიდანაც გამოელაპარაკა ხალხს; იქ ახლა მღვდლები უნდა დამდგარიყვნენ. წარმოსდგნენ მღვდლებიც გამოჩნდა მათი ნამღვილი სახეც. ვინ იყვნენ ესენი? ისეთივე უბრალო მონები, რომელთა წინაშეც ისინი იდგნენ. არც სწავლა-განათლებით და აღარც გონებრივად ისინი ყმებზე მაღლა არ იდგნენ და არც გარეგანი შეხედულებით შეიძლება ბოდა მათი ერთი-მეორისაგან გარჩევა! ერთნაირი ძონძ-კონკი უფარავდა ტანს როგორც ერთს, ისე მეორეს; ერთნაირივე ნაბდის ქუდეები და ჯინჯის სარტყლები ერტყათ ერთნაირადვე დავრდნილ-დამცირებულთ, ერთნაირადვე კისერ გადათუთქულთ, ხელგადააბედიანებულთ და სახე დაუანგულ-გარკინისფერებულთ... მაგრამ ჰო, იყო მათ შორის ცოტა-რამ ჩვეულებრივი და შემთხვევითი განსხვავება: ჩვეულებრივად მღვდლებს ყმებისგან მოშობილი, მაგრამ აჩეჩილ-აბურძნული და უსუფთაო თმა და წვერი ასხვავებდა, ხოლო შემთხვევით ის, რომ ამ შემთხვევისთვის მღვდლებს პერანგის ამხანაგი ჩაეცვათ, ისიც მოკლე, რაც წვივებს ძლივს უფარავდა და ტიტველ ფეხზე ადგილობრივი ამოსხმული ბალნაიანი ტყავის ქალამნები ეცვათ... მღვდლებს უნდა დაეფიცებინათ ხალხი, მაგრამ რალაც ხდებოდა მათ შორის: ან ვერ ახერხებდნენ დაკისრებული საქმის სისრულეში მოყვანას, ან შიშს ჰქონდა მათზე თავისი გავლენა. ასე იყო თუ ისე, ხალხი შესცქეროდა მღვდლებს, მღვდლები ერთი-მეორეს და საქმე წინ ვერ მიდიოდა.

— უტუმ გვაფიცოს-უტუმ, — მოისმა ხალხში ერთი ხმა.

— უტუმ, უტუმ! — გაიმეორა მრავალმა ხმამ და უტუმაც ხანი არ დააყოვნა. ის საჩქაროდ შეუერთდა მღვდლებს, მოწიწებით გამოისახა პირჯვარი, ემთხვია წაჩხურუს მთავარ-ანგელოზის) ხატს, მობრუნდა და მიმართა ხალხს: — „ამ თავითვე გიცხადებთ, ძმებო: ვისაც ბატონების ეშინიან და ხატის არა, იმან არ იფიცოს. თუ ვინმე ურევია ასეთი, მოგვმორდეს.

— არავინ გყავს ისეთი, არავინ! — მოისმა ხალხში ხმა.

— კაი, აბა დავიჩოქოთ და ვახსენოთ ღმერთი, — სთქვა უტუმ და დაიჩოქა თითონაც. მას მიჰბაძა ხალხმაც.

— დიდო წაჩხურუს მთავარ-ანგელოზო! — დაიწყო უტუმ. — შენ ყველაფერი იცი, შენგან დაფარული არაფერი არ იქნება; შენ იცი ჩვენი ბატონების ამბავი, შენ იცი ჩვენი ამბავიც. ჩვენ მოვიფიქრეთ ბატონ-ყმობის გადაგდება; არ გვინდა კაცი ბატონად, რომელსაც ვეკუთვნით სულიან-ხორციანად, ცოლიან-შვილიანად, თეთრიან-საქონლიანად, მიწიან-წყლიანად; რომელიც გვკვამს, გვიკვამს ყველაფერს და მაინც არ ვეყავით... ჩვენ გვინდა ერთი ბატონი, კანონიერი ბა-

1) წაჩხურუ სოფელია სალხინოს გვერდით. ამ სოფლის ეკლესიის მთავარ-ანგელოზის ხატი მეტად ძლიერ ხატად ითვლებოდა. ფიცის დროს მთელი ყურადღება ამ ხატისკენ იყო მიქცეული.

ტონი—ღმერთი. სხვა ბატონს უარს ვეუბნებით, არ გვინდა... დიდო მთავარ-ანგელოზო, შენ მოგვიმართე ხელი, შეგვეწიე და აგვასრულე-ბინე ეს საქმე. შენ დაიფარე, დიდო მთავარ-ანგელოზო, შენი დაჩაგრული ხალხი.—ა-ამენი! 1)

— ა-ა-ამენი, ა-ა-ამენი, ა-ა-ამენი!—ერთხმად დაიგუგუნა ხალხმა.

— შენ შეუწუხე სული და გული ჩვენს მტრებს და ავისმყოფელებს, ყველაფრის იმედი დაუკარგე, წაღმა გადაიყვანე და უკუღმა შემოიყვანე, ხმალი ტართან გადუტეხე, ფალია აუწვი, სადაც არ უნდოდეს იქ წაიყვანე და რაც არ უნდოდეს ის აქნევიანე, იმედი მოუსპე და გული დაუჩაგრე.—ა-ამენი!

— ა-ა-ამენი, ა-ა-ამენი, ა-ა-ამენი!

— დიდო მთავარ-ანგელოზო, შენ დაჰკარი შენი ლახვარი და გული გაუბე ჩვენს მოღალატეს, დედოფლის და თავად-აზნაურების მომხრეს, ვინც ჩვენი ბანაკიდან იმათი გულის გასახარებელი ამბავი წაიღოს, ვინც ჩვენი საიდუმლო იმათ უთხრას, ვინც იმათ წინააღმდეგ არ გავიდეს, ვინც იმათი საიდუმლო აზრი გაიგოს და ჩვენ არ გვითხრას, ვინც ჩვენ ერთი გულით და სულით არ შეგვიერთდეს, ვინც ბატონებს მიუბრუნდეს, დაემორჩილოს და ემსახუროს, დიდო მთავარ-ანგელოზო შენ გაუბე იმას გული, ვაჟიშვილი არ შეარჩინო, გასათხოვარი მოუკალი, გათხოვილისგან გაამწარე, ყველგან ზდიე, ყველგან წააქციე, საშველი და შენდობა არსად მისცე.—ა-ამენი!

— ა-ა-ამენი, ა-ა-ამენი, ა-ა-ამენი!

— ა-ამენი!—წამოიძახა უტუმაძე.

— ა-ა-ამენი, ა-ა-ამენი, ა-ა-ამენი!—დაუმოწმა ხალხმა.

ფიცის შემდეგ უტუმ მოითხოვა აერჩიათ მეთაური, ან, როგორც ის უწოდებდა, სარდალი და თან აუხსნა თუ რა მოვალეობა უნდა დაეკისრებოდა სარდალს... სარდალად ერთხმად იქნა არჩეული უტუ, რომელმაც ფიცით აღსთქვა, რომ ის გაუწევდა ხალხს ერთგულ სამსახურს და თუ შემთხვევა მოიტანდა, თავსაც შესწირავდა ამ სამსახურს. სარდალის თანაშემწედ დაასახელეს მართალია, მაგრამ მან უარპყო ეს პატივი. ის ამტკიცებდა, რომ ასეთი სამსახურისთვის ის მომზადებული არ იყო და არც ვარგოდა; ურჩევდა, როგორც სარდალს, ისე ხალხსაც, რომ სხვა აერჩიათ, რომელსაც ნაყოფის მოტანა შეეძლო. მიუხედავად ასეთი გულახდილი აღსარებისა, მართალია მაინც არ შორდებოდა ხალხი.

— დაჰყე, მართალია, ხალხის ნება-სურვილს,—ურჩია ბოლოს უტუმ,—„ხმა ღვთისა და ხმა ერისა“,—ნათქვამია; სადაც ამდონი ხალხი გასახლებს, რომ არ ვარგოდ, მაინც ივარგებ. ხალხი ბედს ეძებს, საშვილიწვილო საქმეს იწყებს და ნუ გაუტეხ გულს ამ თავითვე... სამაგიეროდ გაძლევ პატიოსან სიტყვას, რომ გაგანთავისუფლო მაშინ, როცა შენ მისურვებ. მე ეხლა გავბრუნდები ჯვარში, რომ იქაც ავშალო ხალხი; დავითი ჩაჰყვება აქედან და სანამ მისწვდება, შეიტანს ხალხში არეულობას; შენ აქ დარჩები და მარჯვედ უნდა იყვი...

— მერე რა უნდა გავაკეთო აქ?—შეეკითხა მართალია სარდალს.

— რა გავაკეთო? აი რა! კვირაში ორჯელ მაინც მოიწვიე ხალხი ხან აქ, ხან იქ. ერთი სოფლიდან მეორეზე გადადი ხალხიანად, მეორიდან-მესამეზე... ჩაუნერგე ხალხს გულში ბატონების სიძულვილი და თვალ-ყური ეჭიროს ჩვენიანი არვინ გადავიდეს ბატონებისკენ. თავად-აზნაურობას არსად გავკაროთ, არც მიიკაროთ; ყოველთვის წყრომით და მუქარით მეექვეცით იმათ, მაგრამ საბატონო საკუთრებას ხელი არაფერს შეახოთ. აირჩიე მარჯვე ბიჭები და ამსახურე ხალხს, აგრედვე ამსახურე ყველა, ვისაც რითაც შეეძლება... და როცა შეგატყობინონ, აშალო ხალხი და წამოიყვანე ჩემკენ, მეც იქ ავშალი და წამოვიყვან შენკენ. მაშინ კი უჩვენე ბატონებს შენი რისხვა, მაგრამ ზომაც იკოდე: ცეცხლი არსად გააჩინოთ და თოფი არავის ესროლოთ; თუ გესროლონ, მხოლოდ მაშინ გაეციოთ სროლით პასუხი. მოჯალაბე, მოახლე და რაც გინდა ყმათაგანი იყოს, სასახლეში ერთიც არ დასტოვო. თან წამოიღეთ ჯაჭვები, ქანჩები და ხუნდები 2) და ყველა დასასჯელი იარაღები: თუ გეწინააღმდეგონ,

1) ამინ.

2) ჯაჭვებს, სიმძიმით ორ-სამ ფუთიანს, აგდებდნენ კისერზე დამნაშავეს თითქმის რამდენიმე წლობითაც.—ხუნდი ხის ბორკილია, მძიმე და სასტიკი; ჩაადგმევიანებდნენ მასში დამნაშავეს ორივე ფეხებს, მერე დაკეტდნენ ხისავე სოლებით და დააგდებდნენ მზეზე; ამგვარად დასჯილს ნძრევა არ შეეძლო და დღე და ღამე მინდორზე ეგდო.—ქანჩი ქანჩაკებიანი იარაღი იყო ხისავე, ეს დამნაშავეს გამოსატყუო იყო; ჩაუდებდნენ მასში თითებს, მოუჭერდნენ და აკიებდებდნენ.

სასახლები დაუნგრეთ და თითონაც შებორკილი წამოიყვანეთ; ვინც დაგემორჩილოთ, ხელი არ შეახოთ... როცა ჩვენ შევეყრებით ერთმანეთს და ჯარს შევაერთებთ, მერე შეგიძლიან შენს ნებაზე იარო: ჩვენთან დარჩები, თუ შინ გაბრუნდები, შენი ნება იქნება. 1)

ამით დაასრულა სარდალმა საუბარი თავის თანაშემწესთან, დავითსაც უთხრა რაღაც საიდუმლოდ და გამოემშვიდობა როგორც მათ, ისე ხალხსაც.

სახლბინოს აჯანყების ამბავი ელვის სისწრაფით მოედვა მთელს ოდიშს, რამაც ცერზე დააყენა ანგარიშს გარეშე მყოფი ხალხი. აღელდა და აბობოქრდა მთელი ოდიში. ის უკანასკნელი ყმათაგანი, რომელიც თვალის გასწორებას ვერ უბედავდა ბატონს, დღეს სამდურავს და აშკარა წინააღმდეგობას უტეხდავდა მას... და თუ ბატონები წინად სხვა რა სხვა ჯურის პირუტყვთა სახელებით ამკობდნენ რა დიდებდნენ ყმებს, დღეს „ვილოს“ დაძახებით რა ალერსიანი ქცევით უხიბლავდნენ გულს, მაგრამ სად იყო გაგონება! თათრისგან მიყენებული ზარალის აღსადგენად, შემთხვევით გამოწვეულმა მუშებმა, ერ, ათაშად შესწყვიტეს მუშაობა სასახლეებში და ამისთვის ბოდიშიც არ მოუხდიათ ბატონებთან წინაშე; სამუდამო მსახურთაგან, ვინც გულად იყო, აღრე მიაშურა თავის კერას და ვისაც ძველი შიში ჯერ კიდევ გულში ჰქონდა, დარჩენილიყო, მაგრამ ვაი ამ დარჩენას! იმასაც ვერა-რას უბედავდა ბატონი და თუ ასეთი შემთხვევაც გამოერეოდა, შეურაცხყოფილი ყმა, უტუს სახელით, დაემუქრებოდა და ესეც საკმაო იყო, რომ ბატონს ალტყინებული ბრაზი თავისავე გულში ჩაეკლა... გაჭირდა საქმე! ბრწყინვალე წოდება თმენას ჰკარგავდა მაგრამ რა? შებორკილ-შეხუთული მოუთმენლობა რკინის გალიაში იყო დატყვევებული, სადაც იგი, ვით ნისლი დილისა, ჰქრებოდა!

გარდამავალი დროის წყალობით გულჩათუთქული თავად-აზნაურობაც არ იჯდა უქმად: ისიც ახდენდა კრებებს მართავდა თათბირს, იგონებდა სხვა და სხვა ხერხს ხალხის დასამორჩილებლად, მაგრამ ყოველივე ამოა იყო: რამდენად ძალას იკრებდა ხალხი, იმდენად შიშის ზარი გულს უტეხდა მალალ წოდებას!.. ახლა კი თვით გრიგოლიც დაჰყვა მალალი წოდების ნებას, მოიწვია წარჩინებულთა კრება სათათბიროდ და რა-რომ სხვა ღონისძიებას ხელი ვერ მოუბლაუჭეს, გადასწყვიტეს ღამაში სიტყვებით აღდგენა ყოფილი ცხოვრებისა; მაგრამ ესეც არა უმეტეს იმისა იყო, რომ ვინმემ განიზრახოს გაძლიერებული ცეცხლის სულის ბერვით გაქრობა!

ამ მდგომარეობაში, იმყოფებოდა თავად-აზნაურობა, როცა დავითი მოხერხებულად გადადიოდა სოფლიდან-სოფლად, ახდენდა კრებებს და აქებებდა ხალხს ბატონებთან წინააღმდეგ. ავალებდა ყველას, ხშირ-ხშირად ემართათ კრებები, გაემხნევიანათ ერთი-მეორე, არ გაჰკარებოდნენ სასახლეებს და ერთი სოფლიდან მეორისთვის გადაეცათ საზოგადო აზრი და მისწრაფება...

როცა ზემო ოდიშში ხალხის უფლება თან და თან ჩრდილაგდა თავად-აზნაურობის თითქმის წოდებრივ ღირსებასაც, როცა მთელს ოდიშში ზღაპრული სისწრაფით იზრდებოდა ამბოხება, საქილაოს საზოგადოებაში და მიდამო სოფლებშიაც ხალხის მართველობა თავის კალაპოტში ჩამდგარიყო: ხალხს კოჩა თოდუა 2) აერჩია თავის ბატონ-პატრონად და კიდევ მიენებებინა მისთვის განუსაზღვრელი უფლება.

(შემდეგი იქნება).

კირილე წუთისოფლელი.



1) ეს ასეც მოხდა: მას შემდეგ, რაც მართალია უტუს ხალხი გადასცა, ის უკანვე გაბრუნდა რა როცა ამბოხებამ ფრთები შეისხა რა ცეცხლივით მოედვა მთელს ოდიშს, მართალია შინ იჯდა რა გობსა რა ჯამს თლიდა, მაგრამ რუსის მთავრობამ ის მაინც აღნიშნა ერთ მეთაურთაგანად და, სხვათა შორის, ისიც გადაასახლა ცივ ქვეყანაში.

2) სახელი და გვარი ნაშედილია. უტუ მიქავა (მთავარ-სარდალი) მართალია და კოჩა თოდუები ითვლებიან ოდიშში მომხდარ აჯანყების მთავარ-მეთაურებად. სულ 38 კაცს ედებოდა აჯანყების მოწყობა, რომელთაგან, სხვა და სხვა ვადით ზოგთ ციხეში ჯდომა და ზოგთ გადასახლება მიესაჯათ რუსის მთავრობისაგან.